საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1540 2016 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს უფლება, შინდისი-ტაბახმელას D=500მმ საკანალიზაციო კოლექტორის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, 1 745 123 (ერთი მილიონ შვიდას ორმოცდახუთი ათას ას ოცდასამი) ლარის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**